



ტსუ - ასკ 90:75; სკსუ - „შეპარ-ღანი“ 76:72; „პიტა“ - სოსპის უნი-ვერსიტეტი 101:71; „სკოტი“ - სკუ 90:71 „დინამო“ - „პაპაი“ 96:71.

## ტსუ და სკუ სპორტულს ექებენ...

ჩემპიონატის მეორე წრე ამით დამთავრდა, მესამე წრე კი მთელი რიგი სიახლეებით დაიწყო 20 მარტს. ამიერიდან ყველა ეტაპის ყველა თამაშები გაიმართება მხრლად ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში შაბათსა და კვირას. მომავალი სეზონიდან კი ნავარაუდევია, ჩემპიონატში იასპარეზებს მხოლოდ 8 გუნდი - ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფედერაციის პრეზიდენტმა, რომლის სხდომა ამ დღეებში გაიმართა. სხდომაში იმსჯელა აგრეთვე ირაკლი მაისურაძის საკითხზე. ამ კალათბურთულმა, რომელიც უკრაინიდან ისევ „დინამოს“ დაუბრუნდა, მის შემადგენლობაში ითამაშა სტუ-ს და თსუ-ს წინააღმდეგ. „დინამომ“ მოიგო ეს მატჩები, რამაც თსუ-ს პროტესტისკენ უბიძგა. აღმასკომმა საკითხი თსუ-ს სასარგებლოდ გადაწყვიტა, ოღონდ თხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილა - 1 ქულა უბოძა, რადგან, თურმე, სიტყვიერი შეთანხმება ყოფილა მაისურაძის თამაშთან დაკავშირებით ფედერაციის გენერალურ მდივანთან. ახლა, საჩივარი, როგორც გუშინ შეიტყვეთ, სტუ-მაც შეიტანა ფედერაციაში.

## სსოფლიო ჩემპიონატი კვლავ გადაიდო

ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონტს ნამდვილი უღებლობა დასჩემდა. თავი-და-თავი შარშან ნოემბერ-დეკემბერში იყო დანიშნული, შემდეგ იანვრისათვის გადაიდო, ბოლოს თითქმის ივნისისათვის გადაიტანეს.

და აი ახალი ცნობაც: ჩემპიონატი ივნისში კი არა, 26 ივლისს დაიწყება და 28 აგვისტომდე გაგრძელდება. ამან ბევრი მონაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. მსოფლიო ჩემპიონმა ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვმა ისიც კი განაცხადა, რომ ფიდეს სასამართლოში უჩივლებს, რადგან კონტრაქტი აქვს გაფორმებული პოლიანიცა-სდრუსის (რუბინ-შტეინის მეგობრიალი) საერთაშორისო ტურნირის ორგანიზატორებთან, ეს ტრადიციული შეჯიბრება პოლონეთში კი სწორედ აგვისტოში ტარდება.

ფიდეს ახალმა გადაწყვეტილებამ ბევრი სხვა დიდოსტატებიც გააღიზიანა, რადგან ზოგს მაინც ფრანკფურტის სუპერტურნირის ორგანიზატორებთან ჰქონდა ხელშეკრულება, ზოგს დორტმუნდის, ზოგს ბილის, ამსტერდამის თუ ანტვერპენის შეჯიბრებების მომწოდებთან.

### დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში ცურვისა და სპორტის წყალთა სახეობების განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტი, პედაგოგის მემორიალური კანდიდატი, სპორტის ოსტატი **ერნესტ მაროტი** დაჯილდოვდა **ღირსების ორდენით**.



## უკრაინა თბილისში საუკეთესო შემაღენლოებით ნარსდგება

20 მარტს უკრაინის ეროვნულ გუნდთან მატჩს, რა თქმა უნდა, სულმოუთქმელად ველით. თუმცა არსებობდა ეჭვი, რომ უკრაინელები შესუსტებული შემაღენლოებით გვეხვლებოდნენ, რადგან მისი საბაზო გუნდი კიევის „დინამო“ 17 მარტს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის განმეორებით მატჩში მადრიდის „რეალს“ უმასპინძლებს და ამ უმძიმესი ბრძოლის შემდეგ ნაკრების ნელმძვინვარება აღარ გამოიძახებდა დინამოელებს სამი დღის შემდეგ გასამართი ამხანაგური მატჩისთვის. მაგრამ, უკრაინელთა თავკაცმა იოჟეფ საბომ საქართველოსთან ამხანაგური თამაშისთვის მაინც მოუხმო უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელებს. აი ისინიც:

**მეკარეები:** შოვკოვსკი („დინამო“), ვორობიოვი („ტორპედო“, მოსკოვი).  
**მცველები:** მიკიტინი, პობოვი, კოვალი (ყველა - „შანტიორი“), გოლოვკო, ვაშჩუკი, ლუშინი (ყველა - „დინამო“), სკრიბნიკი („ვერდერი“, ბრემენი), მიწანი („კარპატი“).  
**ნახევარმცველები:** კალიტვინცევი („ტრაპუნსბორი“), გუსინი, კირიუხინი, კოსოვსკი, კარდაში (ყველა - „დინამო“), კოვალიოვი („შანტიორი“), ცინშეისტრუკი (ცსკა, კიევი).  
**თავდაამსხმელები:** შევჩენკო, რებროვი, კონოვოლოვი (ყველა - „დინამო“), სკაჩენკო („ტორპედო“, მოსკოვი), ნავორნიაკი („შანტიორი“).

### „მკაბუჩისა“ და თბილისის „დინამოს“ საუზნებლო კლუბების დავა ახალ ფაზაში შევიდა. „მკაბუჩი“ „დინამოს“ და სფო-ს უკვე 5 მილიონ აშშ დოლარს ეღებება... (იხ. მე-3 გვ.)

### ნანა კახნიძე და ბიბა ყუფარაძე - ჩემპიონები

კვირას დამთავრდა საქართველოს პირველობა ჭადრაკში 12 წლამდე მოზარდებს შორის. გოგონებში 9 შესაძლებელიდან 7,5-7,5 ქულით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ნანა ძაგნიძემ და ლია ჩიქვილაძემ. უკეთესი დამატებითი მაჩვენებლების გამო ჩემპიონის წოდება ნანა ძაგნიძეს მიენიჭა. ყმაწვილებს შორის 8 ქულით პირველ ადგილზეა გიგა ყუფარაძე. ნიკა ჯიმშელიაშვილი მას ნახევარი ქულით ჩამორჩა.

### საქართველოს X აერონული ჩემპიონატი უზუბკოთში (II ვრცე)

გათამაშების ცხრილი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. დინამო (თბ)	18	15	3	0	61-9	48
2. გორკოვო	18	14	2	2	47-15	44
3. ლოკომოტივი	18	8	10	0	21-7	34
4. კოლხატი	18	9	4	5	40-29	31
5. დინამო (ბთ)	18	7	7	4	24-15	28
6. დილა	18	7	5	6	24-22	26
7. მირანი	18	4	9	5	16-20	21
8. არსენალი	18	4	8	6	21-33	20
9. ვიბ-ჯორჯია	18	6	4	8	16-17	19
10. იბარია	18	5	4	9	26-33	19
11. სიონი	18	5	4	9	17-34	19
12. გორდა	18	4	7	7	14-23	19
13. თღვი	18	5	2	11	12-28	17
14. სამგურალი	18	5	2	11	15-35	17
15. თსუ	18	3	6	9	14-23	15
16. ბურია	18	3	3	12	19-44	12

შენიშვნა: ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა. **იხ. მე-3 გვ.**

## ლენოქს ლუისი მორალურად გალახული დარჩა

ევანდერ ჰოლიფილდისა და ლენოქს ლუისის შეხვედრა პროფესიულ რინგზე, რომელიც დარბაზში შეკრებილი 21 ათასი გულშემატკივრისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ გაიმართა 13-14 მარტის კვირაობაზე „მედისონ სკვერ გარდენში“, უდიდეს ინტერესს იწვევდა. 12-რაუნდინი პაექრობა მართლაც ძალზე დაძაბული გამოდგა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ბრიტანელმა ლუისმა სძლია ამერიკელ ჰოლიფილდს, მაგრამ გამაწყვეტი სიტყვა ასეთ დროს მსაჯებს ეკუთვნის. მათგან კი ერთმა 115:113 დააფიქსირა ჰოლიფილდის სასარგებლოდ, ერთმა კი ლუისს მოაგებინა 116:113, ერთმაც - ფრე 115:115 დააფიქსირა. ასე რომ, მიიმე წონის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული ლიდ რჩება. ამ შეხვედრით კი ამერიკელმა ებას და იბფ-ს სარტყელი შეინარჩუნა, ბრიტანელმა კი ება-სი.



ამბობენ, რომ ლუისს ამერიკაში არ მოაგებინებდნენ, იქნებ საიდუმლოება სულაც სულ სხვაა, რაც შეიძლება მხოლოდ ჰოლიფილდის მენეჯერმა, ასეთ საჭეობაში კარგად გაჩნდნა ღონ კინება იცის. ვნახოთ, ყველაფერი მომავალ შეხვედრაში გამოჩნდება. ამ მატჩით კი, როგორც იტყობინებთან, ჰოლიფილდმა და ლუისმა კარგა გვარიანად მილიონები ჩაიჭიბეს, მაგრამ უთუოდ მილიონერი გახდებოდა ისიც, თუკი ვინმემ ტოტალიზატორში არჩევანი ფრეზე შეაჩერა.

**ლუისი:** „დღეს მე გამჭურდეს. მთელ ბრძოლას ვაკონტროლებდი, დარწმუნებული ვარ, რომ დაეზარებ მეტოქე...“  
**ჰოლიფილდი:** „ჟოჯოლთის არის კიდევ ერთი შანსი, თუ ლუისს თავისი სიძლიერე სურს დაამტკიცოს, კიდევ ერთხელ გამოვიდეს რინგზე და შეემბრძოლოს.“











